პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

2025 წლის _____ ივნისი, ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ[1]“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქ. ბათუმში, სევერიანე აჭარელის ქ.N1-ში (საკადასტრო კოდი: 05.29.06.027) მიზანშეწონილია განთავსდეს ავტოსადგური.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივდრეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი თავდგირიძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური
„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2023 წლის 30 ნოემბერს შეტანილი ცვლილების თანახმად, კერძოდ: მე-16 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „კ[1]“ ქვეპუნქტი: „კ[1]) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება“, რის საფუძველზეც მიმდინარე წლის 21 მარტს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას N21/03-25 (N10/1425080207-14) განცხადებით მომართა სს „ბათუმის ავტოსადგურმა“ (ს/ნ 245415242) და მოითხოვა მუნიციპალიტეტის თანხმობა (საკადასტრო კოდი: 05.29.06.027) მის ტერიტორიაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის თაობაზე. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 მარტის N90 დადგენილებით „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესისა და პირობების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 დადგენილებაში შესული ცვლილებების თანახმად, კერძოდ: მე-12[2] მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ კონსულტაციისათვის მიმართა სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს, საიდანაც მიღებული იქნა დადებითი პასუხი მითითებულ ლოკაციაზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: ხარჯებს არ საჭიროებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ზეგავლენას არ იქონიებს.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

გ.ა) საქართველოს კონსტიტუცია;
გ.ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

დ) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ე) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი დახელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის
უფროსი **რუსუდან ჟოჟაძე**